# შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

№7 (9.523)

9 მარტი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ერს მომავალი სჭირდება!

***საქართველოში გაზაფხულის პირველი თვე – მარტი შემობრძანდა და ჩვეული ჭირვეულობით „გაგვაოცა“. 8 მარტი დედოფლისწყაროელ ქალბატონებს ბუნებამ არა მხოლოდ ენძელებით და ყოჩივარდებით, თოვლითაც მიულოცა.თოვლიანი მარტის შემყურეს ჩემში ახმიანდა ცნობილი პოეტის სტრიქონები: „თოვს, მარტმა ამინდი არია...“ დიახ, ქალის ბუნებასავით ამოუცნობმა გაზაფხულმა და დედისა და ქალბატონების დღესასწაულებმა კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრა ქალის ფენომენზე, როგორც ადამიანურობის საწყისზე.***

გვარის, მოდგმის გაგრძელების მოთხოვნილება ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. “ერის მომავალი დედების ხელშიაო”- წერდა ცნობილი მწერალი და მოაზროვნე ონორე დე ბალზაკი.

იყო დრო, როდესაც ქართველებისთვის გამრავლება მტრის უამრავი შემოსევების მიმართ თავისებური რეაქცია იყო. ქართველი ქალი წარმატებით ასრულებდა ქალის უმაღლეს დანიშნულებას – დედობას. ამისი მაგალითია 9 ძმა ხერხეულიძის დედა, რომელმაც არა მარტო გმირებად აღზარდა შვილები, არამედ მეომარი დედის მაგალითიც უჩვენა მათ, თანამედროვეებსაც და შთამომავლობასაც. ცნობილი ფრანგი პედიატრი ა. მარფანი, რომელიც შეშფოთებული იყო თავის ქვეყანაში შობადობის შემცირებით, წერდა: „საქართველოს ასულნი მრავალშვილიანნი არიან, ბავშვს კვებავენ საკუთარი რძით და ამიტომაც ინარჩუნებენ ხორციელ და ფიზიკურ სილამაზეს.” ეს იყო 80 წლის წინათ.



იყო დრო, როდესაც ქართველებისთვის გამრავლება მტრის უამრავი შემოსევების მიმართ თავისებური რეაქცია იყო.

დღეს კი ევროპული, არცთუ სასიამოვნო ტენდენცია საქართველოშიც დამკვიდრდა. ქართველ ქალებს მოუდუნდათ დედობრივი ინსტიქტი, შემცირდა შვილების ყოლის განწყობილება. ბევრისთვის თითქოს ნორმად იქცა ერთშვილიანი ოჯახი. ამის მიზეზებზე ისინი ღიად საუბრობენ და აქცენტს სოციალურ გაჭირვებაზე აკეთებენ. ამბობენ, რომ ბევრი შვილის გაზრდას ფინანსურად უზრუნველყოფილი მშობლები სჭირდება. როცა დედას საზრუნავი თავზე საყრელად აქვს, შვილების აღზრდისთვის აღარც დრო რჩება და აღარც ნერვები. გარდა იმისა, რომ ერთშვილიან ოჯახში გაზრდილი ბავშვი გვერდით თანატოლების ყოლასაა მოკლებული, ფსიქოლოგების განმარტებით, ეს ფაქტორი მასში ეგოიზმის განვითარებასაც უწყობს ხელს და ხშირად ნარცისიზმით დაავადებულ მომავალ თაობას ვიღებთ, რომელთაც ადამიანური “ეგო” უმაღლეს რანგში აუყვანიათ და სურთ, დედამიწამ მათ გარშემო იტრიალოს. თუმცა, ეს ფაქტორი ნამდვილად არ გახლავთ ამ წერილის დაწერის მთავარი მიზეზი. ეს უბრალოდ ერთშვილიანობის თანმდევი პროცესია...

ბევრ შვილზე შეგნებულად უარის თქმას ერის გენოფონდი ეწირება. ასეთ ერთბავშვიან ოჯახებს ერი სწრაფად შემცირებისკენ მიჰყავს. იქმნება საზოგადოების დაბერების საშიშროება. დემოგრაფების გამოთვლით, ორშვილიანობის შემთხვევაში 30 წლის შემდეგ ყოველი 1000-დან 624 დარჩება, 90 წლის შემდეგ - 240, 150 წლის შემდეგ-92, ხოლო 300 წლის შემდეგ-81. შობადობის შემცირება შეინიშნება დედოფლისწყაროშიც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წელს წინა წელთან შედარებით დედოფლისწყაროში შობადობა შემცირებულია 59 პროცენტით.

ერს რომ გამრავლება სჭირდება, ამაზე არავინ დაობს. ქართული გენოფონდის აღდგენაზე ზრუნვა სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს. საქართველოს პატრიარქის ინიციატივამ, ყოველი მესამე და შემდეგი ბავშვის მონათვლის თაობაზე, შობადობის ზრდა გამოიწვია, თუმცა, ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია... პრეზიდენტის ინიციატივა მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში ერთჯერადი თანხით 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში – 2 000 ლარით დასაჩუქრებაც იქონიებს დადებით გავლენას. თუმცა, მარტო ეკონომიკური სტიმული არ კმარა, მთავარია ქართველი ქალის პასუხისმგებლობა ამაღლდეს ერის წინაშე.

გაზეთი „შირაქი“ ყველა დედოფლისწყაროელ ქალბატონს ულოცავს გაზაფხულის დღესასწაულებს. ბედნიერ დედობას და ქალობას გისურვებთ! დაე, ყველას გეზრუნოთ ქართველი ერის გამრავლებაზე.

ინგა შიოლაშვილი

## ელექტროენერგიაზე დანამატები აღარ დაერიცხება



გვ.5

## შეხვედრები სოფლების პრიორიტეტების გამოსავლენად




გვ. 3


## ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge


C M Y K

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა ყველასთვის კარგი მაგალითია“

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა რეგიონის ყველა ქვეყნისთვის კარგი მაგალითია.

ამის შესახებ პრეზიდენტმა ბაქოში ვიზიტისას აზერბაიჯანელ კოლეგა ილჰამ ალიევთან და ორი ქვეყნის მინისტრებთან ერთად გამართულ გაფართოებულ შეხვედრაზე განაცხადა.

„ჩვენ შევქმენით იმის ალტერნატიული მოდელი, რაც ყოველთვის ხდებოდა, რეგიონის ყველა ქვეყანა ყოველთვის უქმნიდა ერთმანეთს პრობლემას და არ წყვეტდნენ მას. ილჰამ ალიევის წყალობით, ჩვენი ქვეყნები პრობლემებს აგვარებენ და სხვა ქვეყნებს მაგალითს აძლევენ როგორ უნდა ორმხრივი ურთიერთობა. ასე, რომ ურთიერთობდეს რეგიონის ყველა ქვეყანა, ეს ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონი იქნებოდა“, - აღნიშნა სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ქართული დელეგაცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბაქოს ორდღიანი ვიზიტით 6 მარტს ეწვია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას განცხადებით, აზერბაიჯანში გამართული შეხვედრები ამ ქვეყანასთან ბიზნესურთიერთობას კიდევ უფრო გაამყარებს.

ამის შესახებ ქობალიამ ბაქოში გამართულ მთავრობათაშორისი გაფართოებული სხდომის შემდეგ განაცხადა.

„აზერბაიჯანში გამართულ შეხვედრებზე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის მშენებლობის საკითხი განიხილება, რომელიც 2013 წელს დასრულდება. ასევე ტურიზმის ორმხრივი ურთიერთობები და საერთაშორისო პაკეტები, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნება. განიხილება სავაჭრო ურთიერთობა და გადაზიდვების საკითხებიც. ასევე რა თქმა უნდა, კულტურისა და სპორტის საკითხები. რაც შეეხება ეკონომიკას, მინდა, აღვნიშნო, რომ სავაჭრო ბრუნვის კუთხით აზერბაიჯანი თურქეთის შემდეგ მეორე ადგილზეა და ვფიქრობთ, რომ ასეთი ახლო კავშირები როგორც ბიზნეს, ასევე პოლიტიკურ ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს“, - აღნიშნა ვერა ქობალიამ.

# კახეთის შესახებ ახალი ტურისტული ვებ-გვერდი ამოქმედდა

კახეთის ტურისტული განვითარების პროექტის ფარგლებში შეიქმნა კახეთის ვებ გვერდი: **www.kakheti.travel,** სადაც ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაციაა განთავსებული.

ვებ გვერდი ინგლისურ ენაზეა და მასში კახეთის სასტუმროების, მათ შორის, მცირე ტიპის საოჯახო სასტუმროების ჩათვლით არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი. ვებ გვერდზეა განთავსებული ტურისტული რუკები, მეგზურები და ღვინის ტურები. როგორც გვერდის ადმინისტრაციაში, იგივე ტურიზმის სააგენტოში აღნიშნავენ, გვერდი ხელს შეუწყობს დაინტერესებულ კომპანიებსა და კერძო პირებს ადვილად დაამყარონ ურთიერთობა ადგილობრივ მწარმოებლებთან და სასტუმროების მეპატრონეებთან. ბაზაში უკვე 100 მეტი სასტუმროს შესახებ და კახეთის მასშტაბით მოქმედი თითქმის ყველა ღვინის ქარხნის შესახებ არის ინფორმაცია დამატებული.

# სს „საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიებს დედოფლისწყაროში შემდეგ თანამდებობებზე:

იგრძენი მომავალი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

**საკრედიტო ასისტენტი;**
**საკრედიტო ექსპერტი;**
**უფროსი საკრედიტო ექსპერტი;**
**საკრედიტო ჯგუფის უფროსი.**

## საკრედიტო ასისტენტი

***ძირითადი მოვალეობები:***

- მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლიანობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

***სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:***

განათლება: უმაღლესი ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია მინ. 3 თვიანი გამოცდილება, გაყიდვების და/ან მცირე ბიზნესის სფეროში.

***აუცილებელი ცოდნა და უნარები:***

- კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
- ქართული მშობლიური. რუსული კარგად, ინგლისური სასურველია (მაგრამ არა აუცილებელი);
- მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
- კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები — აზრის ნათლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი წერით და ზეპირად;
- ორგანიზებულობა, ენერგიულობა, დაგეგმვის, სამუშაო მიზნების სწორად განსაზღვრის და დროის დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება.

## საკრედიტო ექსპერტი

***ძირითადი მოვალეობები:***

- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

***სავალდებულო მოთხოვნები:***

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.

***სავალდებულო ცოდნა, უნარები:***

- საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

## უფროსი საკრედიტო ექსპერტი

***ძირითადი მოვალეობები:***

- საკრედიტო ექსპერტების, პრომოუტერებისა და საკრედიტო ასისტენტების საქმიანობის კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინაცია, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

***სავალდებულო მოთხოვნები:***

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: მინ. 1.5 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნეს დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში; (სასურველია, მაგრამ არასავალდებულო მცირე ჯგუფის კოორდინირების გამოცდილება).

***სავალდებულო ცოდნა, უნარები:***

- ბიზნეს დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- მცირე ჯგუფის კოორდინირების უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, სწავლების და შეფასების უნარი;
- სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების და შესრულების უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

## საკრედიტო ჯგუფის უფროსი

***ძირითადი მოვალეობები:***

საკრედიტო ჯგუფის მიერ გაცემული სესხების რაოდენობის და მოცულობის ზრდა, პორტფელის ზრდა და ხარისხის შენარჩუნება:

- დაქვემდებარებული ჯგუფის მართვა და კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი, ახალი სტანდარტების მიწოდება, დანერგვა, შეფასება და შემდგომი განვითარების დაგეგმვა;
- საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოების დაგეგმვა და ჯგუფის ხელმძღვანელობა;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- საკრედიტო ექსპერტთან ერთად მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- სესხების პერიოდული შერჩევითი მონიტორინგი;
- რეაგირება ცვლილებებზე კრედიტის მიმდინარეობის პერიოდში, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა და საკითხის განხილვა შესაბამის კომიტეტზე;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება: გადანაწილება, პრაქტიკის მართვა-კონტროლი, ასისტენტის შეფასება და დეპარტამენტის მენეჯმენტთან რეკომენდაციების წარდგენა.

***სავალდებულო მოთხოვნები:***

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

***სამუშაო გამოცდილება:***

- მინ. 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნეს დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში, მათ შორის მინ. 6 თვიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციაზე;
- ბიზნესის, გაყიდვების სფეროში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინ. 2 წლიანი გამოცდილება.

***სავალდებულო ცოდნა, უნარები:***

- ბიზნეს დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ზოგადი მენეჯმენტის საწყისები;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- ჯგუფის ეფექტურად მართვის უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, მოტივაციის, სწავლების და შეფასების უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების, მიზნების განსაზღვისა და მიღწევის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა (რომელიც შესავსებად შეგიძლიათ აიღოთ) მისამართზე:

**ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, საქართველოს ბანკის თელავის ფილიალი**

**ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, საქართველოს ბანკის გურჯაანის ფილიალი**

**ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ. 15, საქართველოს ბანკის სიღნაღის ფილიალი**

**ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალი**

**ქ. საგარეჯო, ალმაშენებლის ქ. 17, საქართველოს ბანკის საგარეჯოს ფილიალი**

**ქ.ლაგოდეხი, კოსტავას ქ.15, საქართველოს ბანკის ლაგოდეხის ფილიალი**

**ქ.წნორი, ალმაშენებლის ქ.38, საქართველოს ბანკის წნორის ფილიალი**

ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:

regionjob@bog.ge (გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 მარტი, 2012 წელი.

# შეხვედრები სოფლების პრიორიტეტების გამოსავლენად











### სამთაწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გამართეს სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობასთან. შეხვედრაზე მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით მოხდა პრობლემების განხილვა და პრიორიტეტების კვლევა.

სოფლისათვის ამ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს წყალსაქაჩიდან რეზერვუარამდე მილის რემონტი, გარე განათების დამონტაჟება და სოფელში არსებული სასაფლაოსათვის მესერის შემოვლება. სწორედ ამ პრობლემების მოგვარებას მიიჩნევენ საჭიროდ სოფლის მაცხოვრებლები.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებულობა, თუ როგორ და სად იხარჯება მათი სოფლისათვის გამოყოფილი თანხები.

### საბათლო და ფიროსმანი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სოფელ საბათლოსა და ფიროსმანს ესტუმრა და ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს.

სოფელ საბათლოში მოსახლეობასთან შეხვედრისას ორი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. კერძოდ, სასმელი წყლის ნაკლებობა და შიდა გზების რეაბილიტაცია. სწორედ ამ პრობლემების მოგვარებას მოხმარდება პროგრამის ფარგლებში სოფლისთვის გამოყოფილი 14 381 ლარი.

2012 წელს სოფელ ფიროსმანისათვის სოფლის დახმარების პროგრამით 17 160 ლარი გამოიყო. სოფელმა გადაწყვიტა, აღნიშნული თანხა სოფელში საბავშო ბაღის, წყლის შიდა ქსელების მოწყობასა და მემორიალის რეაბილიტაციას მოხმარდეს. გასულ წელს ამ პროგრამით გამოყოფილი თანხით სოფელში წყლის ახალი ჭაბურღილი მოეწყო.

მოსახლეობამ კმაყოფილება გამოხატა განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

### ზემო მაჩხაანი და ოზაანი

5 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული პრობლემების შერჩევის მიზნით, სოფელ ზემო მაჩხაანის მოსახლეობას შეხვდნენ. საერთო კრებას თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ლევან იაკობიშვილი წარმართავდა. პრობლემების განხილვაში, მოსახლეობასთან ერთად , აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ივანე ნატროშვილი.

მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამით ამ სოფელში 44 808 ლარი უნდა დაიხარჯოს. კრებაზე არაერთი პრობლემა და საინტერესო ინიციატივა გაჟღერდა: სოფელში არსებული ამორტიზირებული შიდა ქსელის შეცვლა წყალსაქაჩზე; სოფლის შიდა გზების მოხრეშვა-მოპირკეთება; საბავშვო ბაღის შენობაში აღმოსავლური ორთაბრძოლების დარბაზის მოწყობა; მოსახლეობის ინიციატივით, პრიორიტეტულობის და თანხასთან შესაბამისობის მიხედვით, უპირატესობა კვლავ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას და წყალშემკრები რეზერვუარების გაწმენდას მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში გამოყოფილი თანხებიც წყალმომარაგების გაუმჯობესებას მოხმარდა.

* * *

იმავე დღეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სოფელ ოზაანის მოსახლეობასაც შეხვდა. საერთო კრებას თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული სოსო თევზაძე უძღვებოდა, აქ იმყოფებოდა სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ტრისტან ქურხულიშვილი. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა ოზაანელებს აცნობა, რომ სოფლის დახმარების პროგრამით წელს ოზაანს 27 600 ლარი აქვს გამოყოფილი. მოსახლეობის აქტიური მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: სოფლის წყალსაქაჩიდან ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარამდე მიმავალი ამორტიზირებული რკინის სადაწნეო მილის მონაკვეთების რეაბილიტაცია, ერთ უბანში შიდა ქსელის მოწყობა; სოფლის შიდა გზების მოხრეშვა - მოპირკეთება.

ოზაანის მოსახლეობამ აქტუალობის მიხედვით პრიორიტეტულობა კვლავ წყალმომარაგების გაუმჯობესებას მიანიჭა. თუმცა, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა აღნიშნა, აქ ჩამოთვლილ დანარჩენ პრობლემებს ჩაინიშნავენ, შესაძლებლობის ფარგლებში შემდგომი რეაგირებისთვის.

### მირზაანი, არბოშიკი, თავწყარო

6 მარტს სოფლის საერთო კრება ჩატარდა მირზაანში. როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა განუცხადეს მოსახლეობას, სოფლის დახმარების პროგრამით , მიმდინარე წელს მირზაანში 16 218 ლარი დაიხარჯება და საერთო კრებაზე თავად სოფელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ფულის ხარჯვის მიზნობრიობაზე.

როგორც ყველგან, აქაც უამრავი პრობლემა გამოიკვეთა. სოფლის ახალგაზრდებმაც გამოიჩინეს აქტივობა და მომავალი თაობის პრობლემებზე თამამად ისაუბრეს, ხელმძღვანელებისგან მხარდაჭერაც მოიპოვეს.

მთავარ პრობლემებად დასახელდა: წყალმომარაგების ქსელის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, დებეტის გაზრდა; სოფლის შიდა გზების მოხრეშვა-მოპირკეთება; რაჭველების უბანში სანიაღვრის მოწყობა. აქედან, ყველაზე პრიორიტეტული კვლავაც წყალმომარაგების პრობლემა აღმოჩნდა.

მირზაანის შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არბოშიკის მოსახლეობას შეხვდა. სოფლის საერთო კრებას საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ნუკრი ბალაშვილიც ესწრებოდა. მიმდინარე წელს ამ სოფელში 42 200 ლარი უნდა დაიხარჯოს, თუ რა სამუშაოებისთვის, ამაზე საკმაოდ აქტიური მსჯელობა გაიმართა სოფლის თავყრილობაზე. მოსახლეობა საკმაოდ მობილიზებულად იყო წარმოდგენილი, შესაბამისად პრობლემებიც მრავალი სპექტრით წარმოჩინდა. როგორც საუბარში აღმოჩნდა, ხელისუფლებას ბევრი პრობლემა უკვე სამომავლო გეგმებში ჰქონდა ასახული, თუმცა, ამ გეგმებს შეხვედრის შემდეგ ცოტა კიდევ მიემატა. სოფლის დახმარების პროგრამით გასათვალისწინებელ საკითხთა ნუსხაში კი სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე სანიაღვრე არხის დარჩენილი მონაკვეთის და შიდა გზების რეაბილიტაცია აღმოჩნდა.

სოფელ თავწყაროს სოფლის დახმარების პროგრამით, შედარებით მცირე თანხა ერგო. ამ სოფლისთვის წელს 6000 ლარია გამოყოფილი, მოსახლეობამ გადაწყვიტა, ეს თანხა ქუჩების განათებას მოხმარდეს. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ბალაშვილს და გამგებელს ნიკოლოზ შანშიაშვილს გასულ წელს სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებისთვის.

### ხორნაბუჯი

7 მარტს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი , მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ჭოეთის მაცხოვრებლებს შეხვდნენ. ამ სოფელში სოფლის დახმარების პროგრამით 5 300 ლარია გათვალისწინებული. მოსახლეობამ თავიანთ პრობლემებზე გულახდილად ისაუბრა, ბოლოს კი გადაწყვიტეს, აღნიშნული თანხა ქუჩების გარე განათებას მოხმარდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

# დ ი დ ე ბ ა   დ ე დ ა ს



მზემ, ასე თუ ისე, იმძლავრა და დიდთოვლობით შეწუხებული სული გაათბო, მოერია ყინვას და ჩამდნარი თოვლიდან ერთბაშად იფეთქეს ენძელებმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზაფხული მოვიდა, მოვიდა და, როგორც ყოველთვის, თან მოიტანა ლამაზი დღესასწაულები, ქალების სადიდებელი დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე. ცხადია, ყველას ერთნაირად, სურვილისამებრ, არ სეუძლია აღნიშნოს ეს დღეები, გამორჩეულად იზეიმოს, მაგრამ ამ დღეს გულში მაინც გაიჟღერებს ხოლმე სიხარულის სიმი — დედობის, ქალობის სიმი. ვილაცას ენძელების კონას მოუტანენ, ვილაცას – ძვირფას სუნამოს, ვილაცას ტკბილი ხმით მიულოცავენ და მოეფერებიან... ვილცას კი მთვრობა დააფასებს, საზეიმო კონცერტს გაუმართავს და მადლობას ეტყვის კარგი ქალობისთვის, კარგი დედობისთვის. ასე იყო სწორედ 5 მარტს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გამართულ დედის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე, სადაც მრავალშვილიან დედებს მოუწყეს შეხვედრა. ღონისძიება მიჰყავდათ კულტურის სახლის დირექტორს ცარო მარტიაშვილს ჩვეული ოსტატობით და არანაკლები ოსტატობით – პატარა თეკლა ჯიბლაშვილს, რომელშიც, როგორც ჩანს, დედის გენი დომინირებს.

კონცერტი ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა" გახსნა ქალთა ცეკვით. ანსამბლის ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილია, ხოლო ქორეოგრაფი ნინო კობაიძე. მას ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორნაბუჯი" შეენაცვლა, ხელმძღვანელი ლევან ხუნაშვილი. „იმედის" სოლისტებმა თეონა ტიკიშვილმა და ერეკლე ჯანიაშვილმა ცეკვა „ქართული" შეასრულეს, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართველი ქალის კდემამოსილებას და სიდარბაისლეს, რაც ცივილიზებული სამყაროსკენ თვალმიპყრობილმა ახალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ.

მსმენელი დაატკბო გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის „მანდილის" მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, რომელსაც დალი ელისაშვილი ხელმძღვანელობს. მათ რევაზ ლაღიძის სიმღერები შეასრულეს ცნობილი კინოფილმებიდან.

ჩვეული ოვაცია და აპლოდისმენტები დაიმსახურა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხორნაბუჯმა" ირაკლი კიკილაშვილის ლოტბარობით, ხოლო ვასიკო ტუხაშვილის მიერ უბადლოდ შესრულებულმა უკვდავმა სიმღერამ „თავადის ქალო", მსმენელს დიდი სიამოვნება მიანიჭა.

კონცერტის დასასრულს სცენაზე მიიწვიეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი დედები, რომლებსაც ოთხი და მეტი შვილი გაზარდეს. აი ისინიც: შვიდი შვილის დედები: ნუნუ პავლიაშვილი, მაგული უძილაური და თეკლე წიკლაური, ექვსი შვილის დედა — გულნაზი თეთრაული, ხუთშვილიანები — მაკა ბატიაშვილი, ირმა ბუნტური, ოლღა ბაინდურაშვილი, ნანა არაბული, თამარ ჩხიკვაძე, ლია თავაძე, ნათია ზარიძე, ოთხი შვილის დედები: დონარი დათუკიშვილი, ნონა სეხნიაშვილი, ია გერგიშვილი, რუსუდან კაპანაძე, ნათია წიკლაური, თამარ მარკოზაშვილი, ლია ბურდული. მადლობა მათ და მათ კოლეგებს, რომლების მოწვევაც დარბაზში ვერ მოხერხდა. აფერუმ, თქვენს ქალობას, ამ გაჭირვების წლებში თავი ასე რომ გაიმეტეთ და ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, დემოგრაფიულ სტაბილიზაციას შეუწყეთ ხელი. უფალმა გაგაძლიეროთ და შეგაძლებინოთ. ღირსნი ხართ, თავდახრილებმა გითხრათ მადლობა. სწორედ ამ მადლიერების გამოხატვა იყო მათთვის ამ დღის აღსანიშნავი სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა, რომელიც მათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა მოუმზადა (ცენტრის დირექტორი ივანე შანშიაშვილი).

კონცერტი დასრულდა დიდი ილიას უკვდავი სიტყვებით:

„დედავ ისმინე ქართლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ უძღვოდეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული".

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ალუღიშვილი, გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი, საკრებულოს წევრები და გამგეობის თანამშრომლები. ყველა იქ მყოფი დალოცა ქალაქ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის დეკანოზმა ნიკოლოზმა.

ნაირა გორაშვილი

# ღვაწლმოსილებს მიულოცეს

***სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლის ორგანიზებით მანდილოსნების საპატივსაცემოდ ღონისძიება გაიმართა, რომელიც ამავე სოფლის ღვაწლმოსილ ქალბატონებს მიეძღვნა.***

ზოგიერთმა მათგანმა ღონისძიებაზე დასწრება ვერ შეძლო, დანარჩენი ღვაწლმოსილ ქალბატონებს კი საპატიო სტუმრის სტატუსით საგანგებო ადგილი მიუჩინეს. მაყურებელს დეტალურად გააცნეს კულტურის სახლის ყოფილი დირექტორის ნანა ჭუჭულაშვილის, ბიბლიოთეკის გამგის იზოლდა ბენაშვილის და სოფლის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის ნინო ბურდულის შრომითი ბიოგრაფია და ცხოვრების საინტერესო დეტალები.

„კულტურის სახლს 1982-90 წლებში ვხელმძღვანელობდი. დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ სიცოცხლე გაცილებით უფრო ჩქეფდა. ყველა პირობა გვქონდა შექმნილი და ჩვენც მთელი დატვირთვით ვმუშაობდით. ინტენსიურად ვატარებდით სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ჩვენთან ფუნქციონირებდა ჭრა-კერვისა და სანიტარული კურსები. იმართებოდა თემატური და ლიტერატურული საღამოები. ეს წლები ძალზე ნაყოფიერი იყო და დღემდე საუკეთესო პერიოდად მახსენდება," - აღნიშნა ნანა ჭუჭულაშვილმა.

როგორც სოფლის კულტურის სახლის დირექტორმა მარინა ოზაშვილმა აღნიშნა, სოფელში კულტურული ცხოვრება 1920-30-იან წლებში იწყება. მისი თქმით, სოფელ ჯაფარიძეში თავდაპირველად ე.წ. „ქოხ-სამკითხველო" გაიხსნა, შემდეგ კი კულტურის სახლი. ამ სცენაზე გადადგა პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები მსოფლიო ბარიტონმა ლადო ათანელმა, რომელიც მისთვის ძალზე წარმატებული აღმოჩნდა.

სოფელში კულტურის სახლის გახსნის ცერემონიასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონებები გაიხსენა სოფლის კოლორიტმა, დამსახურებულმა პედაგოგმა ეგული ყოჩიაშვილმა. მან საზოგადოებისთვის ბევრ უცნობ და ძალზე საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება.

ეგული ყოჩიაშვილი: „1955 წლის 9 ნოემბერს კულტურის სახლი საზეიმოდ გაიხსნა. ამ დროისთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი დიდების ზენიტში იყო. ამ პედიოდში სოფელში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი იშვიათობა იყო. მხოლოდ რამდენიმე პირი იყო ასეთი: ცნობილი ექიმი, ლევან ბოსტოლანაშვილი და მისი ძმები. ასევე, ვიქტორ ბოსტოლანაშვილი, პროფესორი, ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და მისი და გულჩინა ბოსტოლანაშვილი — იურისტი, რაიონის მოსამართლე.

კულტურის სახლის მშენებლობა გაზაფხულიდანვე დაიწყო. უმაღლესი საბჭოს სესიაზე ყოჩიაშვილს შეხვედრია ცნობილი მსახიობი სტეფანე ჯაფარიძე და მისთვის უთქვამს, კულტურის სახლს ვაშენებ და 7 თვეში საზეიმოდ გავხსნიო. მსახიობს უთქვამს, თუ შვიდ თვეში მაგას მოახერხებ, საესტრადო ბრიგადით თქვენთან ვიქნებიო. მან დანაპირები შეასრულა. 9-ში საღამოს დარბაზში ტევა აღარ იყო, ფეხზე დასადგომიც ძლივს მოიძებნებოდა. სტეფანე ჯაფარიძე და გურამ საღარაძის მამა — გიორგი საღარაძე ჩამოვიდნენ. აქვე იყვნენ განუმეორებელი აკაკი კვანტალიანი და შაქრო გომელაური. სხვათაშორის, გომელაურის ფუძე სოფელი მირზაანია. ამ მოწინავე სოფლიდან იყვნენ ცნობილი მოღვაწე გომელაურები. ჩვენი სოფლის სკოლის დირექტორი დარეჯან გომელაური საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათლული იყო. კვანტალიანმა და გომელაურმა სკეტჩი წარმოადგინეს. სცენას ამშვენებდა სავსე მთვარესავით ნათელი და გაბადრული, ესტრადის კაშკაშა ვარსკვლავი, კომპოზიტორ გოგი ცაბაძის მეუღლე მერი შილდელი. მან არაერთი ნომერი მიუძღვნა შეკრებილ საზოგადოებას".

დარბაზში შეკრებილ ქალბატონებს ქალთა დღესასწაულები მიულოცეს ცნობილმა პოეტებმა ზაურ გონაშვილმა, თამაზ წიკლაურმა, ლევან ალავერდაშვილმა და ნატო ყატაშვილმა, რომელთაც საკუთარი ლექსებით დაამშვენეს საღამო. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე ჯუმბერ უთრუთაშვილიც ესწრებოდა. მილოცვებს დედოფლისწყაროს კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილიც შეუერთდა და მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განსაკუთრებული აქტიურობისათვის.

ღონისძიების გაფორმებაში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ამავე სოფელში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებსაც, ნაწილი ცეკვით, ნაწილი სიმღერით, ზოგიერთი კი ლექსებით ხიბლავდა დამსწრე საზოგადოებას. მანდილოსნებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე რატომღაც არ გამოჩენილან სოფელ სამრეკლოს რწმუნებული ვლადიმერ ჭუჭულაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი ილია ტალიაშვილი.



ღონისძიების დასასრულს, დამსწრე საზოგადოებას სოფლის ექიმმა მიმართა: „გაზაფხულის დღესასწაულების მოლოცვის შემდეგ მინდა შეგახსენოთ, რომ ქალს ცხოვრების გალამაზების გარდა გამრავლების ფუნქციაც აკისრია. აქვე მინდა გითხრათ, რომ ქვეყანაში თითქოს დემოგრაფიის პრობლემა გამოსწორებისკენ მიდის, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სოფელ სამრეკლოზე. გასულ წელს სამრეკლოში მხოლოდ 16 ახალშობილი დაიბადა, ხოლო 37 მოქალაქე გარდაიცვალა. ამიტომ ამ კუთხით მეტი აქტიურობაა საჭირო," - აღნიშნა ექიმმა თეა გოგილაშვილმა.

კიდევ ერთი ლამაზი საღამო სოფელ სამრეკლოში ალა-ფურშეტით დასრულდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# სათნოების სახლში ქალთა დღე აღნიშნეს



დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარებმა ქალთა საერთაშორისო დღე პომპეზურად აღნიშნეს. 8 მარტს მისულ მიუსაფარ ქალბატონებს სათნოების სახლის ხელმძღვანელობამ სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო - ქალთა დღის გულთბილი მილოცვის შემდეგ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. სადილის შემდეგ ბენეფიციარებმა საკუთარი ძალებით კონცერტიც გამართეს და აღნიშნეს, რომ ეს ერთ-ერთი თბილი დღე იყო მათ ცხოვრებაში.



# ელექტროენერგიის გადასახადზე დანამატები აღარ დაერიცხება

## სოფლების გამრიცხველიანების შეჩერებული პროცესი ხელახლა იწყება

***ზედმეტად დარიცხული ელექტოენერგიის გადასახადებით შეწუხებულ მოსახლეობას დამატებითი გადასახადის პრობლემა მოეხსნება. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით, კახეთის მაცხოვრებლებს თებერვლის თვიდან ელექტროენერგიის გადასახადზე დანამატი აღარ დაერიცხებათ. ცვლილება „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ყველა აბონენტს ეხება.***

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კახეთის სოფლებში გამრიცხველიანების შეჩერებული პროცესიც განახლდება და სულ მალე აბონენტებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მრიცხველებს დაუმონტაჟებენ.

როგორც ცნობილია, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმში მუშაობს და შესაბამისად ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი რეგიონში შეჩერებული იყო.

შეგახსენებთ, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ 2011 წლის ოქტომბერში სახელმწიფო კომპანიების წინაშე არსებული დავალიანების დაგროვების გამო გაკოტრდა. გაკოტრების პროცესი სახელმწიფო კომპანიების წინაშე არსებული დავალიანების გამო დაიწყო. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა, რომ სააქციო საზოგადოება „კახეთისენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების შემდეგ გაიყიდება.

„თებერვლიდან კომპანიის აბონენტებს მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადზე განაწილებული ნაშთი აღარ დაერიცხებათ. პარალელურად მიმდინარეობს აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანებაც იმ პრობლემურ ადგილებში, სადაც ელექტროენერგიის დანაკარგი ძალიან დიდი იყო და შესაბამისად განაწილებული ნაშთიც. გამრიცხველიანება კვლავაც გაგრძელდება. ჩვენს კომპანიას მთელი რეგიონის მასშტაბით სოფლების გამრიცხველიანების ვალდებულება 2013 წლის ბოლომდე უნდა შეესრულებინა, რასაც „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმში მუშაობის გამო ვერ ახერხებდა და პროცესი შეჩერებული იყო. რასაც თან ახლდა აბონენტების უკმაყოფილება. ანუ, ამიერიდან, კახეთში მცხოვრებ იმ აბონენტებს, რომლებიც გადასახადს საერთო მრიცხველების მეშვეობით იხდიდნენ და მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის გარდა ე.წ. განაწილებული „ნაშთის“ გადახდაც უწევდათ, ეს დანამატი აღარ მიუვათ და მხოლოდ საკუთარი მრიცხველის



გადასახადებზე „დანამატის“ პრობლემა სოფლებში მწვავედ დგას, ზოგჯერ ე.წ. „ნაშთის“ სახით დარიცხული თანხა მოხმარებულს სამჯერ და მეტადაც აღემატება. ხშირია მეზობლებს შორის დაპირისპირების ფაქტებიც...

მაჩვენებლის მიხედვით მოუწევთ გადასახადის დაფარვა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამიერიდან ტარიფი იმოქმედებს საფეხურების მიხედვით. ას კილოვატამდე მოხმარებულ ელექტროენერგიაზე სხვა ტარიფი იმოქმედებს, ასიდან სამას კილოვატამდე კიდევ უფრო მაღალი ტარიფია, ხოლო სამასის ზემოთ შედარებით მაღალი“, - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ჟანა დიდებაშვილმა.

ქალაქ დედოფლისწყაროს აბონენტთა სრული გამრიცხველიანება რამდენიმე წლის წინ დასრულდა, რამაც ქალაქის მაცხოვრებლებს ზედმეტად დარიცხული გადასახადების პრობლემა თავიდან ააცილა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელახალი გამრიცხველიანებისა და ე.წ. გადასახადებზე „დანამატის“ პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების დიდ ნაწილში. მოსახლეობა არ მალავს, რომ ეს საკითხი სოფლებში მაცხოვრებლებისთვის ბოლო დროს თითქმის „აქილევსის ქუსლად“ იქცა. ხშირია მეზობლებს შორის დაპირისპირების ფაქტებიც. უკმაყოფილო აბონენტები არ მალავენ, რომ ზოგჯერ დამატებით დარიცხული გადასახადი მათი ოჯახების მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიის საფასურს სამჯერ და გაცილებით უფრო მეტადაც აღემატებოდა. ეს კი ხელმოკლე ოჯახების ბიუჯეტს მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს.

ენერგოდისტრიბუციის მიმართ, რომელსაც 2009 წლის იანვრიდან ლიტვური კომპანია „ახემა-ჯგუფი“ ფლობს, გაკოტრების საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით აღიძრა. „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ სახელმწიფო კომპანიების მიმართ 4 417 544 ლარის დავალიანება აქვს.

კომპანია აბონენტებს, რომლებიც ელექტროენერგიის გადასახადს საუბნო მრიცხველის ჩვენების მიხედვით იხდიდნენ, მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის გარდა, დამატებით თანხებს არიცხავდა, 5, 10, 85 და 2 000 ლარის ოდენობითაც კი. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე კახეთის რეგიონულმა მედიამ ჟურნალისტური გამოძიებაც ჩაატარა და კომპანია არაერთ კანონდარღვევაში ამხილა.

ილია მარტყოფლიშვილი

# „სილქნეტი“ სოფელ ხორნაბუჯის მაცხოვრებლებს ზიანს აუნაზღაურებს

***გასულ კვირას გაზეთი „შირაქი“ სოფელ ხორნაბუჯის მაცხოვრებლების პრობლემაზე წერდა. მოსახლეობა კომპანია „სილქნეტისგან“ ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და კომპანია „სილქნეტის“ დედოფლისწყაროს ფილიალის წარმომადგენლები ამავე სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი მოსაზრებები მოისმინეს. შეხვედრას ცხარე დებატები მოჰყვა.***

შეხვედრა კონკრეტული შეთანხმებით დასრულდა. ამჯერად კი მომხდართან დაკავშირებით კომენტარი კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაშიც გაკეთდა, რის შემდეგაც კომპანია სილქნეტმა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის მაცხოვრებლების პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა.

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში კომპანია „სილქნეტის“ წარმომადგენლებმა გლეხებს 40 ჰექტარზე ყანა გადაუთხარეს. დაზარალებულების თქმით, „სილქნეტის“ წარმომადგენლები ყანაში უნებართვოდ შეიჭრნენ და მიწიდან წლების წინ ჩაყრილ სპილენძის მავთულებს იღებენ.

„2 კვირაა, რაც კომპანია „სილქნეტის“ წარმომადგენლები 12 ადამიანის ყანაში თვითნებურად შეიჭრნენ და მიწიდან სპილენძის მავთულებს იღებენ. ამოსული ჯეჯილი ტრაქტორით გადათხარეს. 1 ჰექტარი მიწის მოხვნას 80 ლარი სჭირდება. გარდა ამისა, ხორბლის თესლიც შევიძინეთ და ფაქტობრივად რა თანხაც დავხარჯეთ, იმასაც ველარ ავინაზღაურებთ. მალე სხვებსაც მიადგებიან. სიტუაციის გასარკვევად რაიონის გამგებლის მოადგილეს ემზარ ჯანაშვილს მივმართეთ. მან გვითხრა, რომ მიყენებული ზარალის კომპენსაციას გადაგიხდიანო, მაგრამ „სილქნეტის“ წარმომადგენლებმა ეს უარყვეს. იძულებულები ვართ, რომ კომპანია „სილქნეტს“ ვუჩივლოთ“, - განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა ციციმა ფიდუაშვილმა.

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

გლეხები კომპენსაციას იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ქონების დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ემზარ ჯანაშვილის განმარტებით, კომპანია „სილქნეტი“ კანონის ფარგლებში მოქმედებს. „საჯარო რეესტრიდან მიღებული ამონაწერის მიხედვით, ეგ მიწებიც და მავთულებიც კომპანია „სილქნეტის“ კუთვნილებაა და მას თავისი ქონების განკარგვის სრული უფლება აქვს. გლეხები კონპენსაციას კომპანიისგან იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ საჯარო რეესტრიდან ქონების დამადასტურებელ ამონაწერს წარმოადგენენ“, - აღნიშნა ემზარ ჯანაშვილმა.

კომპანია გლეხების პრეტენზიებს სულ მალე საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა. „სილქნეტი“-ს წარმომადგენლების განმარტებით, მათ არცერთი ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის, არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით უარი არ უთქვამთ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

„დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოები ითვალისწინებს ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი კაბელების დემონტაჟს კომპანიის კუთვნილ განთვისების ზოლში.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების მიზნით, 6 თვით ადრე კომპანია „სილქნეტმა“ წერილობით შეატყობინა კახეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს, ასევე ყველა რაიონულ სამმართველოებს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს და საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო პოლიციის რეგიონულ სამმართველოს. ჩვენი კომპანია მოქმედებს, როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე მიწათმფლობელების წინასწარი შეტყობინების გარეშე სამუშაოების ჩატარება. კანონმდებლობა, სამუშაოების ჩატარების საფუძველზე მიწათმფლობელისთვის (მესამე პირებისთვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან არ ათავისუფლებს ელექტროგადამცემი ხაზის და ქსელის მფლობელ კომპანიას.

კომპანიას, არცერთი ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის, არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით უარი არ განუცხადებია მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე და ვალდებულების თავიდან აცილებაზე. დამატებით გაცნობებთ, რომ სხვა რეგიონებში სამუშაოების წარმოების შედეგად მიწათმფლობელებს სრულად დაუკმაყოფილა მიყენებული ზიანის პროპორციული თანხები და პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინა მიწის ზედაპირები“, - აღნიშნულია „სილქნეტის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

იმავე დღეს, სოფელ ხორნაბუჯში, კომპანია „სილქნეტის“ მიერ 40 ჰექტრამდე ყანის გადათხრასთან დაკავშირებით, კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა კომენტარი გააკეთა. მან დაზარალებულ მოსახლეობას მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისკენ მოუწოდა. სიბაშვილი აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში დაზარალებულები კომპენსაციას მიიღებენ.

„სილქნეტი“ ნამდვილად აწარმოებს ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობას და ეს შეთანხმებულია ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თუ „სილქნეტის“ ქმედებით რომელიმე გლეხი დაზარალდა, მას შეუძლია კომპანიას წარუდგინოს მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და კომპენსაციას მიიღებს“, - განაცხადა სიბაშვილმა.

სოფელში გამართული შეხვედრის დროსაც დაზარალებულები და „სილქნეტის“ ადგილობრივი წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ზარალის აღრიცხვის მიზნით მოხდება დაზიანებული ფართობის დაანგარიშება და მიწის საკუთრების დამადასტურებელ მოწმობებთან ერთად მასალები „სილქნეტის“ ადმინისტრაციას თბილისში გაეგზავნება.

ცნობისთვის: სს „სილქნეტი“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი კუთვნილი, ექსპლოატაციიდან მოხსნილი ძველი სატელეფონო მაგისტრალური კაბელების დემონტაჟს ახორციელებს. ქსელი ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით უნდა შეიცვალოს. წინასწარი ინფორმაციით, პროცესი მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ქალთა დღე ერთი ქალბატონისთვის



**რვა მარტს ქალთა საერთაშორისო დღეა. გაზეთი „შირაქი" შეეცადა ისეთ ქალბატონს შეხვედროდა, რომელიც ჩვენი რაიონისთვის ცნობილი სახეა და ამავდროულად წლების მანძილზე საკუთარი მოღვაწეობით თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი საზოგადოების წინაშე. დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარი ქალბატონი ლალი მანგოშვილია.**

უკვე წლებია, ლალი მანგოშვილი აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ამჟამად კი გამგეობის მთავარი სპეციალისტია საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. ცხადია, როდესაც წარმატებული და ღირსეული ხარ, მით მეტია საზოგადოების ინტერესი, ყურადღება და პატივისცემა. ასეა მის შემთხვევაშიც, ის მუდამ საზოგადოების ეპიცენტრშია.

— ***ქალბატონო ლალი, მოგვიყევით თქვენი ბავშვობის შესახებ.***

— სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში დავიბადე, მოსამსახურე მშობლების ოჯახში. სკოლა წარმატებით დავამთავრე. უსაზღვროდ მიყვარდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა, სკოლის დამთავრებამდე უკვე წაკითხული მქონდა ქართული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა. ვფიქრობ, ამან განაპირობა შემდეგში ჩემი დასავლური ხედვა. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი კარგად მოვემზადე და მთელი ენერგია დავხარჯე, რომ პირველსავე ცდაზე მიმეღწია წარმატებისთვის. ასეც მოხდა, უცხო ენათა ინსტიტუტში მოვეწყე და ავიხდინე ჩემი ბავშვობის ოცნება — გავმხდარიყავი უცხო ენის პედაგოგი. ჩემი მოსწავლეობის დროს ინგლისური ენის სწავლება მე-7 კლასიდან იწყებოდა და სწორედ ამ ასაკშივე განვსაზღვრე ჩემი მომავალი პროფესია. შემდეგში ჩემს მოსწავლეებს ყოველთვის ვურჩევდი და ახლაც იგივეს გავიმეორებ — ისწავლონ ის, რაც თვითონ უნდათ და არა ის , რაც მათ მშობლებს სურთ.

— ***როგორ დაიწყო თქვენი კარიერა, სად გადადგით პირველი ნაბიჯები პროფესიული თვალსაზრისით?***

— ჩემი მოღვაწეობა დედოფლისწყაროს სკოლა-ინტერნატში პედაგოგობით დავიწყე. ეს წლები ყველაზე ტკბილად მახსენდება, ალბათ იმიტომ,რომ მაშინ სხვა დრო იყო, მუშაობაში ახალგაზრდული ენთუზიაზმი მეხმარებოდა, ამასთან უზომოდ მიყვარს ბავშვები. დღესაც ასე ვარ, ბევრ სკოლაში ვიყავი მასწავლებლად,მაგრამ ის მოსწავლეები დღემდე მახსოვს. შემდეგში იყო ჩემი მეორე საშუალო სკოლაში მუშაობის პერიოდი, ვიყავი პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე. მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ (90-იან წლებში) ნიშნის წერის ახალი მეთოდი შემოვიღე. საერთოდ აღარ ვაფასებდი მოსწავლეს, ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსწავლეები გაკვეთილებზე არ დადიოდნენ, მე ას პროცენტიანი მოსწრება მქონდა გაკვეთილზე, ამასთან მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ სწავლის პროცესში. მაშინ ინგლისური ენა ჯერ კიდევ არ იყო მოდური, მე მათ ვაინტერესებდი, ვაცნობდი დასავლეთის ქვეყნების კულტურას და ვუხსნიდი, რომ ინგლისური მსოფლიო საერთაშორისო ენა გახდებოდა. პარალელურად განვაგრძობდი მუდმივ მუშაობას და ვიყავი ძიებაში, ვმეშაობდი სწავლების მეთოდის გამარტივებაზე და უკეთესი სწავლის შედეგის მიღწევაზე.სწორედ ამიტომ, მე ჩემს მიერ განვლილ გზას ძიების და უდიდესი შრომით განვლილ გზას ვუწოდებ. ყველაფერი ის, რაც გამოვიარე ჩემი მოღვაწეობის მანძილზე, დიდი შრომით და საქმისადმი სიყვარულით შევქმენი.

— ***რას ნიშნავს თქვენთვის საზოგადოების ეპიცენტრში ყოფნა ?***

— უბრალოდ ისე მივეჩვიე, ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი საზოგადოების გარეშე, არ შემიძლია განცალკევებით ვიდგე, როდესაც კიდევ უამრავი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთება შემიძლია. ისე მიყვარს ჩემი პროფესია და საქმისადმი იმდენად ერთგული ვარ, რომ ყოფილა შემთხვევა, სახლში სიცხიანი შვილები დამიტოვებია და სამსახურში წავსულვარ, რადგან იმ დღით ზევრად მნიშვნელოვანი ვყოფილვარ სამსახურისთვის. უბრალოდ, ჩვენ, ქალები ვართ ძლიერები, ქალი მაშინაა სრულფასოვანი და დაფასებული, თუ ის სახლის და სამსახურის საქმესაც ერთდროულად წარმატებით გაართმევს თავს.

— ***ცნობილია, რომ შემოქმედებითი ხართ, მუდამ ახალ პროექტებზე მეშაობთ, როდესაც თქვენს ,,სივს" გადავავლე თვალი, საკმაოდ საინტერესო და წარმატებული ცხოვრება გაგივლიათ, უამრავი ჯილდო, ორთვიანი კვალიფიკაციის გავლა აშშ-ში, და კიდევ უამრავი მადლობის სიგელი, იქნებ მოკლედ ამასაც შევეხოთ?***

— ჩვენმა საზოგადოებამ ეს იცის, 1993 წელს გავიარე ამიერკავკასიის ინგლისური ენის მასწავლებელთა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოს განათლების სამინისტროს ეგიდით ტარდებოდა, ორი კვირის განმავლობაში სამი რესპუბლიკის ინგლისური ენის პედაგოგებს ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები გვიკითხავდნენ ტრენინგებს, მე დიდ ინტერესს ვიჩენდი ამერიკული პროგრამების მიმართ, ჩატარდა კონკურსი რომელშიც გავიმარჯვე და პირველი ხარისხის დიპლომი დავიმსახურე, რამაც დიდი სტიმული მომცა. აქვე, გამოსამშვიდობებელ საღამოზე ინგლისურ ენაზე წარმოვთქვი სიტყვა, ამის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. პირველ სკოლაში განვახორციელე გაღრმავებული ინგლისური ენის სწავლება, ეს ყველაფერი მაშინ, როცა სკოლები გზაჯვარედინზე იდგნენ, არც წარსული ეთმობოდათ და არც მომავალს უყურებდნენ დიდი რწმენით. 2001 წელს ამერიკული განათლების საბჭოებმა გამოაცხადა ინგლისური ენის მასწავლებელთა დაჯილდოების პროგრამა, რა თქმა უნდა მივიღე მონაწილეობა, სადაც დამაჯილდოვეს და რეგიონის საუკეთესო ინგლისური ენის მასწავლებლის სერთიფიკატი გადმომცეს, 2002 წელს მივიღე იგივე დაჯილდოვება, პარალელურად გავხსენი წმ. ნინოს სახელობის კერძო სკოლა, სადაც ჯერ კიდევ მაშინ ათ ქულიანი შეფასების სისტემით ვნერგავდი სწავლებას. აქვე მინდა დავძინო, რომ მე დღეს ამაყი ვარ იმით, რომ ამ სკოლაში მოხვედრილი ბავშვებიდან ბევრი მათგანი ახლა საზღვარგარეთ სწავლობს ან მუშაობს, 2003 წელს ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში კვლავ მივიღე მონაწილეობა და ამჯერად გავხდი კონკურსის ფინალისტი, ამან შედეგად მომიტანა ამერიკაში, კერძოდ კი ,,მონტანას სახელმწიფო უნივერსიტეტში," ორ თვიანი კვალიფიკაციის კურსის გავლა, აქვე სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტში გამოვედი სიტყვით, სადაც ჩემი ქვეყნის პედაგოგების სახელით დავაფიქსირე აზრი, თუ როგორ აღვზარდოთ მომავალი თაობა დასავლური ღირებულებებით, (შემდგომში ეს გახლდათ პროექტი — ,,ბრძოლა წარმატებული და ღია საზოგადოებისთვის.")ჩემს სიტყვას ისმენდნენ სამხრეთ კაროლინის და შეერტებული შტატების უმაღლესი წარმომადგენლები, ეს გახლდათ საოცარი სიამაყის გრძნობა, როდესაც მათ წინაშე ჩემი და ჩემი ქვეყნის ხედვა დავაფიქსირე. სწორედ, აქ გამოსვლის წუთები, გახლდათ ის მომენტი, როცა ჩემი დიდი ოცნება ახდა. უნდა აღვნიშნო, რომ ყოველთვის მიზანმიმართული ვიყავი და ბედნიერი ვარ,რომ შედეგსაც აუცილებლად ვაღწევდი.

— ***მოდით შევეხოთ თქვენს ოჯახს, თქვენი და ბატონი მურადის ქორწინება რამდენიმე ათეულ წლებს მოიცავს, ამბობენ ძალიან შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვთო, ძნელი მოსაპოვებელია ეს ბალანსი?***

— ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება ჩემი მეუღლის გარეშე, მიმაჩნია, რომ ჩემს გეგმებს აუცილებლად განვახორციელებდი, მაგრამ გვერდით სულიერი თანამზრახველი ვინ გიდგას, ამასაც დიდი მნიშნნელობა აქვს. ჩვენი უპირატესობა ის გახლავთ, რომ საქმეშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სულ გვერდით ვუდგავართ ერტმანეთს.

— ***ვისაუბროთ თქვენს შვილებზე, ვინ არიან ისინი და ცხოვრების რა საფეხურზე დგანან ამჟამად?***

— უფროსი ვაჟი — ზაზა ამჟამად სამსახურებრივი მისიით ინგლისშია, მან დაამთავრა უშიშროების აკადემია, მუშაობდა მთაწმინდა კრწანისის რაიონში, ამჟამად კი ქვემო ქართლის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსია. სწორედ ამ სამსახურიდან იქნა მივლინებული ზაზა ოქსფორდში, სადაც ის ინგლისურ ენაზე გაივლის პროფესიულ კვალიფიკაციას, ზაზას ჰყავს ორი შვილი მარიამი და ლუკა. მეორე ვაჟმა, ლადო ოზაშვილმა დაამთავრა იურიდიული და ამჟამად ,,სოდის" თანამშრომელია. მას ჰყავს ერთი შვილი — საბა.

— ***გადმოგვეცით, როგორ გიყვართ თქვენი ქვეყანა?!***

— ვერ გადმოგცემთ, ისე მიყვარს საქართველო, რომელსაც მჯერა, რომ ძალიან კარგი მომავალი აქვს, უაღრესად ვაფასებ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, ის საუკეთესო ლიდერია და ქვეყნისთვის მართლაც წარმოუდგენელი რამ გააკეთა, ხალხს რწმენა დაგვიბრუნა, რომ თურმე შეიძლება ახლიდან აშენდეს და გალამაზდეს ჩვენი ქალაქები. მისი ლიდერობის დროს ყველაზე მეტად მივუახლოვდით დასავლურ ღირებულებებს, რისკენაც მე ჯერ კიდევ 2003 წლამდე მივისწრაფოდი. მე დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა აგვისტოს ომის დროს გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი უძღვებოდა, მაშინ თბილისს დაბომბვით ემუქრებოდა რუსეთი, მე კი არ მეშინოდა, აქციაზე ყოფნისას სიამაყით გავყურებდი ქაშუეთის ტაძარს და ღმერთს მადლობას ვწირავდი,იმისთვის, რომ მე ასე მიყვარდა ჩემი ქვეყანა.

— ***სამომავლო გეგმებზე რას იტყვით!***

— ამჟამად ვახორციელებ პროექტს ,,ინგლისური ენა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ენა", ეს პროექტი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვისაა განკუთვნილი. უნდა გითხრათ, რომ ბავშვები იმდენად კარგად ითვისებენ ენებს, რომ საუკეთესო შედეგი გვაქვს, მეტსაც გეტყვით, დადგენილია, რომ ბავშვები ამ ასაკში ჰიპერაქტიურები არიან და მათ ამ პერიოდში ორი და სამი ენის ათვისებაც კი შეუძლიათ. ვნახოთ რა შედეგს მივიღებთ.

— ***ასეთი დაძაბული და დატვირთული რეჟიმის შემდეგ, როგორ ატარებთ უქმეებს, რითაა დაკავებული ლალი მანგოშვილი თავსუფალ დღეს?***

— ახლა ნაკლებად, მაგრამ ადრე ძალიან ლამაზად ვქსოვდი. კარგი სუფრის გაშლა და მასპინძლობაც მიყვარს, უქმეებზე შვილებთან მივდივართ სტუმრად ან მათ ვმასპინძლობთ, ყველაზე დიდ სიამოვნებას კი, ტაძარში სიარული მანიჭებს, შაბათ —კვირას აუცილებლად ვესწრები წირვა-ლოცვას, დედის ლოცვა შვილებისთვის ყველაზე დიდი სიკეთეა, მიმაჩნია, რომ, როცა მე ტაძარში ვლოცულობ, ჩემი შვილები გაცილებით კარგად არიან.

— ***შესაძლებლობა გაქვთ ქალთა დღესასწაულები გაზეთის საშუალებით მიულოცოთ ქალებს!***

— საქართველოში და არა მარტო საქართველოში მცხოვრებ ქალებს, ვულოცავ ქალთა დღესასწაულებს, ვუსურვებ, რომ ბედნიერი ცხოვრებით ეცხოვროთ, როგორც დედები, შვილებიდან გახარებულები ყოფილიყვნენ, ჯანმრთელობას, ეკონომიურ სიძლიერეს და სიმხნევეს ვუსურვებ ყველა ქალს. გიყვარდეთ უფალი.

ესაუბრა
ლალი მეხრიშვილი

# რას ვზეიმობთ?

მეც, როგორც ყველა საბჭოთა ბავშვი, 8 მარტს დედას ვულოცავდი, ვჩუქნიდი ყვავილებს და მისალოც ბარათებს და მიხაროდა, იმიტომ, რომ უქმე დღე იყო და სკოლაში არ მივდიოდი. რას ზეიმობდნენ უფროსები ვიცოდით, ქალთა საერთაშორისო დღეს, თუმცა შინაარსი არ გვესმოდა, მაგრამ დედაჩემისათვის მამის ნაჩუქარი ძვირფასი სუნამო ის არგუმენტი იყო, რომელსაც ყველა ბავშვი ემორჩილება - გაიზრდები და გაიგებ.

გავიზარდე და გავიგე, რომ 1910 წელს რუსმა რევოლუციონერმა ქალმა კლარა ცეტკინმა კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე დამწრე საზოგადოებას შესთავაზა დაეწესებინათ ქალთა საერთაშორისო დღე. იგულისხმებოდა, რომ ამ დღეს ქალები მოაწყობდნენ მიტინგებს და მსვლელობებს, რათა საზოგადოების ყურადღება თავიანთი პრობლემებისადმი მიეპყროთ. კერძოდ, მიეღწიათ სამუშაო დღის შემცირებისათვის, რომელიც მაშინ ფაბრიკებში მომუშავე ქალებისთვის 16 საათს გრძელდებოდა და ხელფასის გაზრდისათვის, რომელიც კაცების ხელფასს გაცილებით ჩამორჩებოდა, ანუ ერთი სიტყვით, კაცი და ქალი თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ.

1917 წლის 8 მარტს რუსეთში არეულობების დაწყებისას, რომელიც მალევე თებერვლის რევოლუციაში გადაიზარდა, პეტროგრადის საფეიქრო საწარმოს მუშა ქალებმა პირველად გამოაცხადეს გაფიცვა და ნევის პროსპექტზე ქალაქის მუნიციპალიტეტის წინ სოციალისტებთან ერთად საპროტესტო პროცესია გამართეს თანასწორობისა და პურის მოთხოვნით. შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს თარიღი, 1917 წლის 23 თებერვალი(ძველი სტილით 8 მარტი), გახლავთ თებერვლის რევოლუციის დასაწყისი, რომლის შედეგად იმავე დღეს ჩამოაგდეს მეფე, დააპატიმრეს მისი ოჯახი(შემდგომში დახვრიტეს) და ხელისუფლება დროებით მთავრობას გადაეცა.

მას შემდეგ, ამ თარიღს ხან აღნიშნავდნენ, ხან არა და მხოლოდ 1966 წელს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, 8 მარტი გამოცხადდა დღესასწაულად და არასამუშაო დღედ. თანდათან სსრკ - ში ამ დღემ დაკარგა პოლიტიკური შეფერილობა და გადაიქცა "ქალთა დღედ".

გასაგებია, რომ რევოლუციონერებს - ბოლშევიკებს და კომუნისტებს ახალი იდეოლოგია ესაჭიროებოდათ, ახალი სისტემა , თავისი რწმენით, ტრადიციებით და თარიღებით: პარტია, - ეკლესიის ნაცვლად, რევოლუციონერი ხელმძღვანელების პორტრეტები, - ხატების ნაცვლად. სწორედ ამიტომ, კომუნისტებმა რუსეთში ფეიქარი ქალების მიერ დაწყებული რევოლუციის აღსანიშნავად განსაკუთრებით გამოყვეს, კალენდარზე გააწითლეს და უქმე დღედ გამოაცხადეს 8 მარტი.




მაგრამ 2012 წლის 8 მარტი რატომ არის საქართველოში ოფიციალურად გამოცხადებული არასამუშაო დღედ? კითხვა, რომელსაც მეეჭვება, რომ ვინმემ გასცეს პასუხი. უბრალო კითხვას - უბრალო პასუხი: ჩვენ რას ვზეიმობთ? რა საერთო აქვს 1917 წლის პეტროგრადელ რევოლუციონერ ქალთა დემონსტრაციას დღევანდელ საქართველოსთან, რომელიც, როგორც ვიცით, ებრძვის ყოველივე საბჭოურს?

მთელ მსოფლიოში არავინ, გარდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა(ისიც არა ყველასი) და ისეთი ნაკლებადგანვითარებული ქვეყნებისა, როგორიცაა ავღანეთი, ბურკინა ფასო, გვინეა - ბისაუ, ზამბია, კუბა, ნეპალი, უგანდა და ვიეტნამი, არავინ აღნიშნავს 8 მარტს. ეს ჩამოთვლილი ქვეყნები გასაგებია, იქ კლარა ცეტკინის საქმე ჯერ კიდევ ცოცხლობს და აქტუალურია. იქ ქალები ჯერ კიდევ გამოდიან, მაგალითად, ასეთი პლაკატებით - "პარლამენტში ქალებიც უნდა იყვნენ", ანდა "ჩადრი ქალის შეურაცყოფაა!". ამიტომ, იქ რომ 8 მარტს აღნიშნავენ, გასაგებია.

მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღის აღნიშვნა გასაგებია - გმირ მეფეს პატივს მივაგებთ, ილიას დაბადების დღის აღნიშვნაც, - რუსულ თვითმპყრობელობასთან ბრძოლის სიმბოლოა..

დედის დღე - 3 მარტიც გასაგებია. დედა კონკრეტულიცაა და ზოგადიც - მისი ღვაწლი, თავდადება და ყველაფერი, რაც სიცოცხლესთან, მშობლიურთან, სიყვარულთან და სინაზესთან ასოცირდება, მაგრამ ე. წ. "ქალთა საერთაშორისო დღე" ნამდვილად გაუგებარი იყო, არის და ასეთად დარჩება. მით უფრო ჩვენთან, საქართველოში. ნამდვილად პირმოთნე უნდა იყო კაცი (ანდა ხელჩაქნეული გულწრფელობაზე), რომ სამსახურში კოლეგა ქალებს მიულოცო "ქალთა" დღე. ეს ყალბი, თავსმოხვეული ეტიკეტია.ეს იგივეა ბავშვს მიულოცო, რომ ის ბავშვია, ანდა მაგალითად მტრედს მიულოცო, რომ ის მტრედია...

8 მარტის აღნიშვნისა თუ მილოცვის ტრადიცია ჩვენში დამკვიდრებულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის დაკავშირებულია რევოლუციურ მოძრაობასთან, რომელმაც ბევრი ტანჯვა მოუტანა ხალხს, მათ შორის საქართველოს ხალხს. თუ უფრო კონკრეტულნი ვიქნებით, შინაარსობრივად, ეს დღესასწაული ეძღვნებათ ფემინისტ, "კაცურ" ქალებს, ანდა "კაცური" პროფესიის ქალებს.

რომელ ქართველს მოსწონს, ანდა რომელი ჯობია: ემანსიპირებული, კაცისმსგავსი ქალი თუ მზრუნველი და მგრძნობიარე ოჯახის დედა? ამიტომ კვლავ, ბავშვობის შემდეგ, ვერაფრით ვგებულობ, რატომ არის 8 მარტი უქმე დღე და რაც მთავარია, - ამ დღეს საქართველოში რას ვზეიმობთ?

მიხეილ მღებრიშვილი

# 1956 წლის 9 მარტის ისტორია

1956 წლის 9 მარტი საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი მტკივნეული თარიღია.მისი ისტორია საბჭოთა პერიოდში ბურუსით იყო მოცული.ღიად საუბარი მხოლოს საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ დაიწყეს.

1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ლავრენტი ბერია ჩამოიცილა. ამის შემდეგ იმდენი ცუდი ითქვა და დაიწერა ბერიას მიმართ, რომ ქართული საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.

ამ მოვლენამ გადააწყვეტინა სკოლის მოსწავლეებს, 14-15 წლის ბიჭებს: ზვიად გამსახურდიასა და ანატოლი მიქაძეს ლ. ბერიას სახელის დასაცვად არალეგალური ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ. მათ შეუერთდნენ თამაზ გუნჯუა და ვლადიმერ სიხარულიძეც. ლ. ბერიას საშინელ საქმეებს მალე ნათელი მოეფინა და ჯგუფის საქმიანობაც დროებით შეწყდა...

1956 წელს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივნმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ. ყრილობაზე გამომსვლელებმა, რომლებიც სტალინის ყველა სიტყვასა და ნამოქმედარს გენიალურს უწოდებდნენ, დაგმეს სტალინის პიროვნების კულტი და საზოგადოების, ე. წ., "დემოკრატიული განვითარების კურსი" აიღეს.

სტალინის კულტის კრიტიკამ დიდი მასშტაბები მიიღო. აქცენტი კეთდებოდა მის ქართველობაზე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი იყო რომ რეპრესიებისგან საქართველო სხვა რესპუბლიკებზე ნაკლებად არ დაზარალებულა.

ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებამ პიროვნების კულტის შესახებ, საბჭოთა კავშირის მილიონობით მოქალაქე შეაშფოთა. განსაკუთრებული რეაქცია ხრუშჩოვის გამოსვლას საქართველოში მოჰყვა. ქართველებმა მისი "საპროგრამო სიტყვა" ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს, რასაც თბილისსა და სხვა ქალაქებში დემონსტრაციები მოჰყვა. 1956 წლის 3 მარტიდან საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისში. ქართველმა სტუდენტებმა თბილისის ქუჩებში სტალინის პორტრეტებით მოაწყვეს მსვლელობა. 7 მარტს დემონსტრანტებს მოსწავლეებიც შეუერთდნენ. საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა. დემონსტრანტებს ინტელიგენციის ნაწილი და მასში მონაწილე ახალგაზრდების მშობლებიც შეუერთდნენ. 8 მარტს კი დემონსტრანტებს მხარდაჭერა თბილისის სხვადასხვა ქარხნისა და ფაბრიკის მუშებმაც გამოუცხადეს.



დემონსტრანტების მოთხოვნები უფრო და უფრო პოლიტიზებული ხდებოდა. გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც. საბჭოთა ხელისუფლებისათვის პროტესტი და დემონსტრანტების მოთხოვნები მიუღებელი იყო. აშკარა ხდებოდა, რომ დემონსტრანტები მოწოდებების საფუძველზე არ დაიშლებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.

9 მარტს ღამით საბჭოთა არმიის ნაწილებმა არაადამიანური სისასტიკით მიიტანეს იერიში მომიტინგეებზე, მოკლეს 150-ზე მეტი ახალგაზრდა და დაასახიჩრეს კიდევ უფრო მეტი... დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, დაღუპულთა რაოდენობა 100-დან 1000 ადამიანამდე მერყეობს.

ამ ამბებით გალიზიანებული ზვიად გამსახურდიას ყოფილი არალეგალური ჯგუფის წევრები კვლავ შეიკრიბნენ. სექტემბერ-ოქტომბერში ჯგუფს უკვე ორგანიზებული სახე ჰქონდა და წევრთა რაოდენობაც გაზრდილიყო. ორგანიზაციას "გორგასლიანი" ეწოდა.

მათ შექმნეს ფულადი ფონდი საწევროს სახით. შეაგროვეს 30-30 მანეთი და შეიძინეს საბეჭდი მანქანა, რომელზედაც 1956 წლის 1 დეკემბრის ღამეს მონაცვლეობით დაბეჭდეს ანტისაბჭოური შინაარსის წერილები. სულ შვიდი ცალი.

2 დეკემბერს, დილით, რუსთაველისა და პლეხანოვის გამზირზე ადამიანებმა უცნაური შინაარსის წერილები იხილეს კედლებზე გაკრული...

ჯგუფის წევრებმა საბჭოთა რეჟიმის მიმართ პროტესტი პროკლამაციების გავრცელებით გამოხატეს.

მისია წარმატებით დასრულდებოდა, რომ არა ერთი ინციდენტი. ჯგუფის წევრები წარმატების აღსანიშნავად რესტორან "დარიალში" შეიკრიბნენ, საღამოს კი რუსთაველის გამზირზე გ. დოჩანაშვილსა და თ. მეტრეველს ჩხუბი მოუვიდათ, რის შედეგადაც დოჩანაშვილი ზურგში მძიმედ დაიჭრა.

1956 წლის 15 დეკემბერს კი უშიშროების კომიტეტის მიერ დაკავებულ იქნენ ანტისაბჭოთა არალეგალური ჯგუფის წევრები: ზვიად გამსახურდია, თბილისის 42-ე საშ. სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; ანატოლი მიქაძე, 42-ე საშ. სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; მერაბ კოსტავა, თბილისის მუსიკალური სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; თეიმურაზ ცერცვაძე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თამაზ გუნჯუა, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე; ვლადიმერ სიხარულიძე, პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თემურ მეტრეველი, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე...

1956 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გრიფით "совершенно секретно" წერილი მოსკოვში გაიგზავნა. წერილის ადრესატი გახლდათ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი, იუსტიციის გენერალ-მაიორი მ. პ მალიაროვი. წერილი იუწყებოდა, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში განვითარებული მოვლენების შემდეგ უკმაყოფილო ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა არალეგალური ფორმირება შექმნა, რომლის მიზანი საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო საქმიანობა იყო. ჯგუფის წევრები ნაციონალისტურად იყვნენ განწყობილი, ამჟღავნებდნენ რუსი ეროვნების მიმართ აგრესიას და მართავდნენ ქუჩებში დებოშს.

ფაქტად, ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის დროს მძიმედ დაიჭრილ ჯგუფის წევრ გ. დოჩანაშვილის შესახებ და დანარჩენების დააპატიმრებაზე მიუთითებდნენ.

დაიწყო გამოძიება, რათა სრულად გამოვლენილიყო ამ დაჯგუფების საქმიანობა, შემადგენლობა და მათი მოკავშირეები...

მართლაც, "გორგასლიანის" წევრები დაიკითხნენ, გასამართლდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც საკუთარი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ. რადიკალურად განწყობილი ეს ახალგაზრდები საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ...

---

მონატრება

## იური ოქრუაშვილი



ჩვენო ლამაზო, თბილო, კეთილო და საყვარელო მამიკო, 14 მარტი შენი დაბადების დღეა. წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ... მართლაც ძალიან ძნელი და აუტანელია ამ დღეს ჩვენი ყოფნა შენს გარეშე.

შენი წასვლით უსაშველო ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ყოველი დღე მტკივნეული და გაუსაძლისი ხდება ჩვენთვის. უსაზღვროდ გვენატრები, ძვირფასო მამიკო, ძალიან გვიყვარხარ და ვაფასებთ შენს ამაგს.

ახლა კი, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, აგინთოთ სანთლები და უფალს შევავედროთ შენი ლამაზი სული. ნათელში იყავ, მამა და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

***უსაზღვრო მონატრებით, შვილები*** სიმონ და
თამარ ოქრუაშვილები.

---

## ხვთისო ბიკაშვილი



ჩემო საყვარელო მამიკო, 6 მარტს ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. შენ ხომ მიტევების დღეს გარდაიცვალე, უფალმა ასე ინება. შენი სახელიც ხომ ღვთიდან მოდის, მამა. უცებ დამთავრდა ტკბილი სიზმარი. ცხოვრების რკალი გაგელუნა და ბედნიერების გვირგვინი გაგიტყდა, რასაც ფრესკად შემორჩა შენი სიტყვები: „თქვენ მენატრებით". მართლა გენატრებოდით-მე, თათია, ნინო. შენ ისე ტკბილად გაგვზარდე, როგორც მხოლოდ ზღაპრებში ხდება.ამიტომაც იყო დიდი ტკივილი ჩვენთვის შენი გარდაცვალება. ჩვენს სიყვარულს ვერ შეელიე, ამიტომ შენი ცხოვრება წიგნად დაწერრე და შენს გამოცემულ წიგნს „ჩემმი ხატია სამშობლო" დაარქვი. სადაც შენი ლექსებიც ტირიან. სიბრძნეს არავის დაკითხებიხარ, ნიკო ფიროსმანის დიდ სამშობლოში, სოფელ მირზაანში დაიბადე. ამიტომაც ფიროსმანს ხატვით ბევრჯერ ემსგავსე, მგოსანი იყავი, სულით ხელოვანი, მხატვართა კავშირის წევრი,მ უამრავი სუფრის თამადა, გიყვარდა ყველა ახლობელი, კოლეგები, მეზობლები,შენი მოსწავლეები. მათ ცისარტყელას ფერებში ასწავლიდი ხატვას. შენს მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდები, ოჯახი არ არსებობს შენი ნახატის გარეშე. ვერ აიტანე ჩვენს გარეშე ცხოვრება და ამიტომ შენს ყოფილ ოჯახს გამმოფიტული და ფერგაცრეცილი დიდი იასამნების ნახატი გამოუგზავნე, რომელიც ამშვენებს ჩვენს კედელს. მე, თათია და ნინო სანთლით გაგინათებთ იმ ქვეყნად შენს ლამაზ სულს. მშვიდად განისვენე მუხათგვერდის მხატვართა პანთეონში. შენს მიმართ დიდ მონატრებას შენი დაწერილი ლექსით დავამთავრებთ, რომელიც შენ ძალიან გიყვარდა:

შენს ცისფერ თვალებს კალმით ვხატავდი,
ტილოზე გადვიტანდი ლამაზი ფერებითა,
შენს ზღვისფერ თვალებს ყველას შევწირავდი,
გინდაც მოვმკვდარიყავ მე ამ ფერებითა.

შენი ინგა, თათია, ნინო.

---

შვილი ირაკლი ლოლაშვილი, რძალი თამარ ბედოიძე, შვილიშვილი მარიამ ლოლაშვილი, ძმები: გენადი, გივი; და კლარა ოზაშვილები, მძახლები: ნინო სისაური, ნიკოლოზ, ზაზა, ლალი ბედოიძეები, ძმიშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან
ნელი ოზაშვილ-ლოლაშვილის
გარდაცვალებას; დაიკრძალა 8 მარტს, ქ. დედოფლისწყაროში.

---

შპს „შირაქის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კლარა ოზაშვილს დის
ნელი ოზაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კლარა ოზაშვილი, გუგული, ალიკო, რუსუდან, ლალი ალადაშვილები, ნიკო თულაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ნელი ოზაშვილ-ლოლაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ირაკლი ლოლაშვილსა და თამუნა ბედოიძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

სტეფანე და მეგი ოზაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდის,
ნელი ოზაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ირაკლი და თამუნა ლოლაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

---

ძმები ზემელა, ლესტო; და ნაზო, სიძე ამირან ნასრაშვილი, ძმისშვილები:მიხეილი, ნინო, ნონა, გია, მანანა, დისშვილები: ლია, ნანი, ძმისშვილიშვილები, დისშვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან
ცირა ბიკაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა 10 მარტს ქ. დედოფლისწყაროში.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მიხეილ ბიკაშვილს მამიდის
ცირა ბიკაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები: თენგიზ ჯალიაშვილი, თამაზ ჯანიაშვილი, ვასიკო საბიაშვილი, ნინა ყოჩიაშვილი, კოლია სუხიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ კლარა ოზაშვილს, გუგული, ალიკო, ლალი ალადაშვილებს
ნელი ოზაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები: ჯემალ კოტაშვილი, გია გონაშვილი, ომარ ალადაშვილი, ლილი გონაშვილი, სოსო გოგაშვილი, რეზო ბარბაქაძე, გურამ ნიკოაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ნაზი მოსაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, გივი ლომიძე, ნოდარ გივიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ეთერ და გენადი ნასრაშვილებს მამის
ილია ჭუჭულაშვილის
გარდაცვალების გამო.

ტესტი

# როგორია თქვენი ურთიერთობა ადამიანებთან?



***კონტაქტურ ადამიანთან ურთიერთობა და საუბარი სასიამოვნოა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პირველი შეხებისა და საუბრისთანავე გაბეზრებენ თავს.***

***ეს ტესტი დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ როგორი მოსაუბრე ხართ და რამდენად სასიამოვნოა თქვენთან ურთიერთობა.***

კითხვებზე 1, 2, 3, 6, 7, 8, 9, 10, 11 დადებითი პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ 1 ქულა, სხვა შემთხვევაში კი-0 ქულა.

1) ლაპარაკი უფრო გიყვართ თუ მოსმენა?

2) შეგიძლიათ საუბრის თემის გამონახვა სრულიად უცნობ ადამიანთან?

3) მოსაუბრეს ყოველთვის საგულდაგულოთ უსმენთ?

4) გიყვართ რჩევების მიცემა ახლობელი ადამიანებისათვის?

5) საუბრის თემა თუ არ მოგწონთ, აუცილებლად აგრძნობინებთ თანამოსაუბრეს?

6) გაღიზიანებთ, როცა არ გისმენენ?

7) საკუთარი აზრი გაქვთ ნებისმიერ საკითხზე?

8) შეეცდებით მის განვრცობას, თუ საუბრის თემა თქვენთვის უცნობია?

9) ყურადღების ცენტრში ყოფნა გიყვართ?

10) არსებობს ის სამი საგანი, რაზეც ამომწურავი ცოდნა გაქვთ?

11) როგორ ფიქრობთ, ხართ კარგი ორატორი?

## შედეგები

**1-3 ქულა:** ლაპარაკი რომ არ გიყვართ და მოსაუბრე გაიძულებთ, ნამდვილად ვერ იტყვი; ფაქტია, რომ ადამიანები ხშირად თქვენთან ურთიერთობისას ვერ განიცდიან სიამოვნებას. კარგი იქნება, თუ შეიცვლით მანერებს და გარშემომყოფებისათვის უფრო საინტერესო გახდებით.

**4-9 ქულა:** ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი შეიძლება არა ხართ, მაგრამ ყოველთვის ყურადღებიან და სასიამოვნო თანამოსაუბრედ გამოიყურებით.

**9-11 ქულა:** თანამოსაუბრისათვის ყველაზე სასიამოვნო ადამიანი ხართ. ბევრს უჩნდება სურვილი, გახდეს თქვენი მეგობარი. ერთი კი ნამდვილად საინტერესოა: ხომ არ თამაშობთ პროფესიონალი მსახიობივით?

# ვისთვის არ შეიმლება ტირილი?

ფსიქოლოგებმა 3000 მოხალისის ტესტები გააანალიზეს. ისინი აღწერდნენ, როგორ ტიროდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ თავისდათავად ტირილის სარგებლობა გარემოებაზეა დამოკიდებული — ანუ იმაზე, თუ როდის და როგორ მოხდა ეს.

საინტერესოა, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ტირილის შემდეგ მათ უკეთ იგრძნეს თავი; დაახლოებით 13-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ტირილს შვება არ მოუტანია, სხვა ათმა პროცენტმა თავი უარესადაც კი იგრძნო.



ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ უკეთ თავს ისინი გრძნობდნენ, ვინც გარშემომყოფებისგან თანაგრძნობასა და თანაგანცდას გრძნობდა. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ნათქვამია, რომ ტირილი ფიზიოლოგიის თვალსაზრისით ძალიან სასარგებლოა.

ტირილის ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლამ ფსიქოლოგები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ის სუნთქვის შემსუბუქებასა და შენელებას იწვევს.

როგორც ამერიკელი სპეციალისტები თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლისთვისაც ტირილი არასასურველია. ეს არის ჯგუფი, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა აფექტური მოშლილობებითა და მაღალი შფოთიანობით - მასში ცრემლი მხოლოდ შინაგანი მდგომარეობის დამძიმებას იწვევს

# 27 გზა ქალის გასაღიმებლად

1.უთხარით მას რომ ის ყველაზე ლამაზია.

2.როგორც კი მოახერხებთ მოკიდეთ ხელი ხელზე,თუნდაც წამიერად.

3.აკოცეთ კისერზე,ან ყელზე.

4.დაუტოვეთ ხმოვანი შეტყობინება ალერსიანი ხმით.

5.ყოველთვის უთხარით რომ გიყვართ.

6.როცა ის გაბრაზებულია,მოიმწყვდიეთ მკლავებში და აუხსენით რა ბევრს ნიშნავს იგი თქვენთვის.

7.პატარა დეტალებსაც კი მიაქციეთ ყურადღება და ეს მას უთხარით.

8.უმღერეთ მას,რა საშინელი ხმაც არ უნდა გქონდეს.

9.უთხარით რომ მას ყველა ქალზე წინ აყენებთ.

10.დაუწერეთ ნიშნები კოცნაში.(აზარტულია)

11.გააცანით ის თქვენს ოჯახს და მეგობრებს,როგორც შეყვარებული.

12.ეთამაშეთ მის თმას.

13.აიყვანეთ და დაატრიალეთ.

14.დაჯექით პარკში მასთან ერთად და დაელაპარაკეთ თუნდაც სისულელეზე.



15.მოუყევით თუნდაც სულელური ანეკდოტები.

16.ესროლეთ მის ფანჯარას შუაღამისას კენჭები და თუ გამოიხედება უთხარით რომ გენატრებათ.

17.ეცადეთ დაიძინოს თქვენს მკლავებში.

18.ამოჭერით თქვენი სახელები ხეზე.

19.თუ ის თქვენზე გაცეცხლებულია,აკოცეთ მას.

20.შეისვით ზურგზე და ირბინეთ.(არ ვხუმრობ,ეს მათ ძალიან მოსწონთ.)

21.აჩუქეთ ყვავილები ისე,უბრალოდ.

22.ისე მოექეცით მეგობრებთან,როგორც მარტო ყოფნისას ექცევით.

23.შეხედეთ თვალებში და გაიღიმეთ.

24.თუ თქვენი გადაღება უნდა,გადააღებინეთ იმდენი სურათი,რამდენიც გინდათ.

25.ეცეკვეთ ნელა მას,მაშინაც კი როცა მუსიკა არაა.

26.აკოცეთ მას წვიმაში.

27.გიყვართ?!უთხარით!

## ამინდი დედოფლისწყარო

| შაბათი 10.03 | | კვირა 11.03 | | ორშაბათი 12.03 | | სამშაბათი 13.03 | | ოთხშაბათი 14.03 | | ხუთშაბათი 15.03 | | პარასკევი 16.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 2° | -3° | 1° | -5° | -2° | -3° | 4° | 2° | 7° | 3° | 4° | 1° | 0° | -3° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-კოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 8 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K